პროექტი „ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერის ინიციატივა საქართველოში“

ტრენინგი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის „ერთობლივი ძალისხმევა რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის (P/CVE) „

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCSD) აცხადებს **1 დღიან ტრენინგს „ერთობლივი ძალისხმევა რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისას (P/CVE)“ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის კახეთის, აჭარის, ქვემო ქართლის და გურიის რეგიონებიდან.** ტრენინგი ხორციელდება პროექტ „ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერის ინიციატივა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოცემული რეგიონების საზოგადოებათა მედეგობის გაზრდას, სოციალურ დიალოგს, კრიტიკული აზროვნებასა და ადგილობრივი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობას.

პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა საქართველოში რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის (ყველა ფორმის) რისკების შემცირება. პროექტი მიზნად ისახავს მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებას სპეციფიკურად შედგენილი ტრენინგის მეშვეობით, რომელიც შეეხება ყველა ფორმის რადიკალური იდეებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას სკოლებში.

ტრენინგი მასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას გაანალიზონ რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი მიზეზები, გააძლიერებს მასწავლებლის როლს ძალადობრივ ექტრემისტულ იდეებთან გამკლავებასა და მოსწავლეებისთვის ალტერნატიული ნარატივის მიწოდებაში.

მოთხოვნები ტრენინგის მონაწილეებისთვის:

- სამოქალაქო განათლების მასწავლებელი კახეთიდან, აჭარიდან, გურიიდან და ქვემო ქართლიდან.
- უმაღლესი განათლება საგანმანათლებლო მიმართულებით ან მომიჯნავე სფეროებში
- მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება
- პროექტის თემატიკისადმი ინტერესი
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა

დამატებითი ინფორმაცია: ტრენინგში მონაწილეობა უფასოა. ტრენინგის მონაწილეებს აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების, სასტუმროს და კვების ხარჯები. ტრენინგი გაიმართება 16–17 მარტს, ბორჯომში.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) და სამოტივაციო წერილი (ხაზი გაუსვით თქვენს კონკრეტულ, რელევანტურ გამოცდილებას) შემდეგ მისამართზე: gcsd.vacancy@gmail.com ; სათაურის ველში გთხოვთ მიუთითოთ ტრენინგის დასახელება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 20 თებერვალი. ორგანიზაცია დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCSD) არის არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზნებია: ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ხელშეწყობა, ეფექტიანი და დემოკრატიული მართვა და მდგრადი განვითარება. GCSD-ის საქმიანობა მოიცავს კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.